საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 319 2019 წლის 19 თებერვალი ქ. თბილისი

ტრენინგების ან/და სასწავლო კურსების ორგანიზების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, იუსტიციის სახლის, დანაშაულის პრევენციის ცენტრის, საქართველოს ეროვნული არქივის, აღსრულების ეროვნული ბიუროს, საქართველოს საკანონმდებლო მაცნის, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს, სმართ ლოჯიქის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოსა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ ტრენინგების ან/და სასწავლო კურსების ორგანიზების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები სსიპ – საქართველოს იუსტიციის

სასწავლო ცენტრისგან განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი

მამუკა ბახტაძე